პროექტ „PACT“-ის მეორე საკოორდინაციო შეხვედრა

ევროკავშირის ტემპუსის პროგრამის მიერ დაფინანსებული პროექტის „პროექტის აქტორთა მომზადება კავკასიაში“ (პარტნიორობის კონტრაქტის N 544047-TEMPUS-1-2013-1-GE-TEMPUS-JPGR; ხელშეკრულების 2013-4545/001-001) ფარგლებში ა/წ 9-10 ივნისს ქალაქ ბათუმში გაიმართა პროექტის რიგით მეორე საკოორდინაციო შეხვედრა პროექტის კოორდინატორთათვის. შეხვედრის მიზანი იყო პროექტის მონაწილე უნივერსიტეტების მიერ მომზადებული სატრენინგო მასალების განხილვა, პროექტის ვებგვერდის დიზაინსა და შინაარსზე შეთანხმება, სტრატეგიული გადაწყვეტილების მიღება, პროექტის სამიზნე აუდიტორიის განსაზღვრა თითოეული მონაწილის შემთხვევაში და სამომავლო აქტივობების დაგეგმვა. შეხვედრას მასპინძელობა გაუწია საქართველოს უნივერსიტეტის ბათუმის ფილიალმა.

აღნიშნული პროექტი, რომლის კოორდინატორია დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტი, ხორციელდება, 2013 წლის დეკემბრიდან და მასში ჩართულია 15 ორგანიზაცია ისეთი ქვეყნებიდან როგორებიცაა სომხეთი, საქართველო, აზრბაიჯანი, პოლონეთი, ესპანეთი, ბელარუსი, დანია და ავსტრია.

პროექტის მიზანია ევროკომისიის მიერ დაფინანსებული პროექტის განხორციელების შედეგად დაგროვილი ცოდნის წარმატებულად გადაცემა კავკასიის რეგიონისთვის, კადრების მომზადების ხელშეწყობა და ასევე საერთაშორისო ურთიერთობების განვითარება ბენეფიციარ ქვეყნებში.

პროექტის პარტნიორები არიან:

1. დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტი
2. ბაქოს სახელმწიფო უნივერსიტეტი
3. საკონსულტაციო კომპანია "die Berater”
4. ბელრუსის სახელმწიფო უნივერსიტეტი
5. ევროპულ უნივერსიტეტთა უწყვეტი განათლების ქსელი
6. ბურგელანდის უმაღლესი სკოლა
7. გავარის სახელმწიფო უნივერსიტეტი
8. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
9. ხაზარის უნივერსიტეტი
10. სპოლეჟნას მეცნიერებათ აკადემია
11. საუნივერსიტეტო კოლეჯი კაპიტალი
12. საქართველოს უნივერსიტეტი
13. ერევნის სახელმწიფო უნივერსიტეტი
14. გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი
15. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი